# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 654

დამატების № 117

კვირა, 21 აგვისტო 1916 წ.


## ერთი ძაღლის ცხოვრება

მე მახსოვს ჩემს პატარაობაში ერთი ძაღლი, რომელსაც პატრონები ყეფისათვისაცა სცემდნენ და სიჩუმისთვისაც. ჯერ ისევ პატარა იყო ის ძაღლი, ახლად იწყებდა ცხოვრებას, ახლად გამოდიოდა თავის მოვალეობის ასპარეზზე, ახლადა ჰგრძნობდა თავის სამსახურს და ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დაეცო თავის პატრონის კარმიდამო და... ამ დროს კი სცემდნენ ყეფისთვისაც, სიჩუმისთვისაც.

ვიღაცამ გაირბინა ორღობეში; მეზობლის ძაღლებმა ერთი აურზაური ასტეხეს, ის ძაღლი კი თავის პატრონის მოღობილში ქადასავით მომრგვალებულიყო და ეძინა. აურ-ზაურზე ერთი წამოიხედა, რა ამბავიაო და, რო ნახა იმას არა შეეხებოდა-რა, ისევ დაწვა. მიჰვარდა პატრონი და წიხლი წაჰკრა, ამ ოხერს ყეფა არ შეუძლიან, რომ ხმა ამოიღოსო! ძაღლმა შესწკნავლა და ვერ მიმხვდარიყო რისთვისა სცემდნენ. თავის გონებით ის იფიქრა, იქნება იმიტომა მცემა პატრონმა იქ რო ვიწექიო და აღარც გაჰკარებია იმის შემდეგ იმ ადგილს.

შემდეგ მივიდა ლაქუცით ძაღლი პატრონთან და უალერსებდა, თითქო ეუბნებოდა, რათა ხარ ჩემზე გაჯავრებულიო. პატრონმა სამაგიეროდ დაუყვირა: გადი შე ოხერო, რა საყვარელსავით მეალერსებიო, და ერთი დიდი ჰოლოკი სთხლიშა თავში. ძაღლი წკავწკავით წავიდა და სათივეში შეძვრა. დიდხანს იყო იქა და გამოსვლისა ეშინოდა. ბოლოს, როგორც იყო, გაბედა, გამოძვრა მაგრამ ძაან ფრთხილობდა, აქეთ-იქით იყურებოდა, პატრონი აქ არსად იყოსო. გაიხედგამოიხედა და, რაკი არავინა ჩანდა, ბეღლისაკენ გასწია, იქ პურის ნამცეცები ეყრება და შევჭამო. ამდროს ალაყაფის კარები ვიღაცამ შემოაღო, ძაღლს ჯერ პატრონი ეგონა და პირი იბრუნა სათივისკენ გასაქცევად, მაგრამ მალე იცნო უცხო კაცი და გაქანდა მისკენ. ის-ისიყო უნდა სწვდენოდა კანჭში რომ ბეღლიდან უცბად პატრონი გამოვარდა დიდი ჯოხით: გადი, შე ვერანავ შენაო, და ერთიორი კარგი სდო უკანა ბარკლებში. ძაღლი წკნავილით გაიქცა და ისევ სათივეში შეძვრა, პატრონი კი ხმა-მაღლა ბრაზობდა: ეგ ოხერი მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევსო.

პატრონის ხმაურობაზე ძაღლს ეგონა სათივისაკენ მოდის პატრონიო, შეშინებული გამოძვრა სათივიდან და ქვეითკენ მოჰკურცხლა. გაიქცა-გაიქცა, მოღობილის ბოლოში ღობის ძირას დაკუნტდა და სულ ზევით იყურებოდა, პატრონი არ მომეპაროსო... პატრონს აღარც კი ახსოვდა; მას სხვენში ასასვლელად კიბე დასჭირდა, რომელიც ბეღლის ქვეითა კედელზე იყო მიყუდებული და, კიბის ასაღებად რომ მივიდა, ძაღლს ეგონა ჩემთან მოდისო, ისკუპა ღობეზე. კუდამოძუებული გაიქცა და სხვისა მოღობილში დაწვა, მაგრამ პირი მაინც პატრონისაკენა ჰქნა, არ მომეპაროსო. ამდროს თვალი მოჰკრეს სხვისმა ძაღლებმა, ისრებივით გამოეშვნენ მისკენ. რომ დაინახა ბევრნი არიან და შეიძლება ძლიერ გამწეწონო, წამოხტა, მაგრამ უცბად ვეღარ მოიფიქრა, საით გაქცეულიყო, პატრონისაკენ, თუ მინდვრისაკენ. ბოლოს ისევ თავისი პატრონი არჩია, მაგრამ მაინც პირდაპირ არ წავიდა: გადახტა ღობეზე, პატრონმა არ დამინახოსო, ვენახვენახ აიარა და სასიმინდის უკან ღობეში გაძვრა, რადგანაც ღობეზე გადახტომის დროს შეიძლება პატრონს დაენახა. შეძვრა ისევ სათივეში და დიდხანს იყო დაღონებული. დაღონებული ფიქრობდა და მოაგონდა თავისი პატარაობა, როდესაც, გათამამებული, დედის, ზურგზე გადაცოცდებოდა და თეძოზე წამოუწვებოდა ხოლმე ძუძუს. მაგრამ წყეულიმც იყოს ყურძნობის თვე! ყურძნობას მოუკლეს დედა ვენახში, და იმავე დროს ყურებიც დააჭრეს... მოაგონდა აგრეთვე მისი პატრონის ნამოჯამაგირალი ოქროგუთანაანთ ილო რომელიც ძაანა ნანობდა მისი დედის სიკვდილსა და რომელმაც შემდეგ გაზარდა იგი. „ტიბას“ ეძახდა ილო მასა და უალერსებდა. ერთხელ ქანქიბუქაანთ კალოსკენ ამოიარა ილომ, ტიბაც უკან მოსდევდა; ზენო თონეში პურს აცხობდა, ილო რომ დაინახა ერთ პურს ხელი დაავლო ზენომ და უთხრა: აჰა, ყმაწვილო, თბილი პური მიირთვიო.

ილო რომ გასცდა თონეს, ექვსიმიანთ კაკლის ქვეშ ჩრდილში დაჯდა დასასვენებლად, პური შუაზე გატეხა, ნახევარი ტიბას მისცა და ნახევარს თვითონ შეექცა. როცა ტიბამ პური გაათავა, ილოს მოულაქუცა, შემდეგ შეითამაშა, უცბად ღობის ძირას ჩასმულ კუნძს, მოჰკრა თვალი და, ვითომ შემეშინდაო, რამდენჯერმე შეჰყეფა კუნძს მერე მივიდა ახლოს, დაჰსუნა კუნძსა და შემდეგ თამაშობით გაუძლვა ილოს წინა... ეს მოაგონდა ძაღლსა. ამასობაში ძლიერ მოჰშივნოდა. ვეღარ მოითმინა და ისევ მძიმე-მძიმედ გამოძვრა სათივიდან.

მიიხედ-მოიხედა—არავინ იყო. სთქვა: წავალ ბეღელში, იქნება ძველი ქალამანი ეგდოს, ან პურის ნამცეცები ვიპოვნოვო, მაგრამ თვალი მოჰკრა პ ტრონსა და შედგა... შემდეგ მოულაქუცა, იქნება აღარ გამიჯავრდესო. პატრონმა ვერ შენიშნა და ამიტომ ხმა არ ამოიღო.



ოცნება.



ქართველთა პანთეონის გეგმა.

ძაღლს ეგონა, აღარ მიჯავრდებაო და გაბედულად გასწია მისკენ. მაგრამ როცა დაინახა პატრონმა, თვალები დააბრიალა და დაუყვირა: ჰაჰაი, შე ვერანავ! აქ რას მოდიხარ, გინდა ქალამანი გაათრიოვო! თანაც ჯოხს ხელი წამოავლო და ძაღლი ჯაგებისაკენ გააქცია. მაგრამ მოლობილს აღარ გასცილდა. მერე ისევ მობრუნდა და უფრო ახლოს მივიდა პატრონთან. პატრონმა კიდევ დაუყვირა: გადი, შე სატიალო, რას შემამყურებო, ძაღლი წავიდა; და ცოტა იქით დაწვა.

პატრონმა ბელლიდან პური და ხახვი გამოიტა, დაჯდა ბელლის კარებში და გემრიელად შეექცეოდა. ძაღლი მივიდა და პირში მიაცქერდა პატრონს, რომლის ხელებსაც ააყოლებდა და ჩააყოლებდა ხოლმე თვალს, ან ეხლა გადმომიგდებს, ან ეხლაო პურს. პატრონს არ ესიამოვნა ესა, გაუჯავრდა, მაგრამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა ადგილიდან ძაღლს, რომელსაც შიმშილისაგან შიშის გემო მთლად დაჰკარგოდა. გაბრაზებული წამოხტა პატრონი, წამოავლო ჯოხს ხელი და, რო მოუქნია, ძაღლმა შეჰყეფა; პატრონს ამაზე უფრო ბრაზი მოუვიდა დ ღონივრად დაუწყო ცემა; ძაღლმა დასაგლეჯად იწია თავის პატრონზე, მაგრამ ბოლოს მაინც პატრონმა გაიმარჯვა და გალახული ძაღლი ისევ სათივეში შეძვრა...

ასე დევნილი და მუდამ მშიერი ძაღლი გულნაკლულად შეიქნა თავის პატრონზე; აერია დავთრები: აღარ იცოდა ვისთვის შეეყეფნა, ვისთვის არა; გაუპატრონჲვდა და გარე-გარე დაიწყო ხეტიალი. ყველამ აბუჩად აიგდო, ყველამ თავში ჩაუთხლაშუნა და ისიც ყველასა ჰყეფდა: შინაურსაც და გარეულსაც. მის დანახვაზე ყველა განგაში ასტეხდა ხოლმე, მოვიდა ცოფიანი ძაღლიო და დაედევნებოდნენ კეტებით, ვიდრე არ მიაცილებდნენ თავის პატრონის სათივემდე.

* * *

ერთხელ მისმა პატრონმა ურმით თივა წაიღო ქალაქში. ძაღლიც გაჰყვა ურემს, რადგანაც ჰგრძნობდა, მისი პატრონი შორს მიდიოდა და... მოსწყინდა ერთგან ყოფნა, მით უჰეტეს იქ, სადაც ისე აბუჩად იგდებდნენ, რომ კუდიც კი დააჭრეს, ლაქუცის დროს მტვერს აყენებსო; იფიქრა, იქნება სხვაგან ბედნიერი ვიყოვო, და აი, წაჰყვა პატრონს სხვაგან. საკვირველი მაინც ის არის, რომ პატრონს წაჰყვა, ალბად იმ ფიქრით: თუ იქ უარესობა იქნება, ისევ ამას წამოვყვებიო.

პატრონი რო ერთი ვერსით გასცილდა სახლს, ძაღლი ადგა, მძიმე-მძიმედ მიჰყვა პატრონს და, როდესაც იგი შეაყენებდა ურემს, ისიც შედგებოდა ხოლმე.

პატრონი რომ ოცი ვერსით დაჰშორდა სოფელს, ძაღლი უფრო მიუახლოვდა ურემსა და ბოლოს კიდეც ეჩვენა პატრონს, რომელმაც წამოიძახა: ეს ოხერი, აქ სად გამოგვყოლიაო. ძაღლმა პირი იბრუნა და მოჰშორდა, რომ აღარაფერი ეთქვათ მაზე; როცა ურემს გამოუშვებდა პატრონი, ის შორი-ახლო დაწვებოდა და ელოდა ხოლმე შებმას...

ძალიან მოჰშივდა. იფიქრა, მივალ პატრონთან, იქნება მჭადის ნატეხი მიწილადოსო, მაგრამ შემდეგ ისევ გადაიფიქრა, ვაი თუ უარესი დღე დამაყენოსო, და შემთხვევით თვალი მოჰკრა შარა გზის პირად ყვავებისაგან გამოწიწკნილ ცხენის კანჯს. სწორედ ამდროს პატრონმაც გადააყენა გზიდან ურემი და გამოუშვა ხარდაკამეჩი საძოვრად: ძაღლს გული დაუალხეინდა და გემრიელად დაუწყო ხვრა ცხენის კანჯს.

ხარდა-კამეჩმა ფერდი ამოილო; ძაღლმაც სულ გამოხრა კანჭი; მზეც გადიწვერა და შებმის დრო მოვიდა, რომ ვილაცას ურემი მოჰქონდა ქალაქიდან—მასაც თივა ჰქონოდა ქალაქ'ა და გაეყიდნა. ძაღლის პატრონის ნაცნობი გამოდგა მეურმე:

— გამარჯობა იასე! მიეგება ძაღლის პატრონი.

— გაგიმარჯოს ჩემო გაბრიელ, უპასუხა მანაც.

— თივა როგორა ფასობს, კაცო, აბა ერთი მითხარი?

— ვერა ფასობს ეგ ოხერი წლეულს.

— მაინც როგორ გაჰყიდე?

— შვიდ მანეთად გავყიდე ურემი, ისიც, ღმერთმა უშველოს ოქროგუთანაანთ ილოს, იმან გამაყიდვინა ერთ თავის ნაცნობთან, რომელთანაც თურმე ხშირად უკრავს სტვირსა.

— აი ჩემ ნამოჯამაგირალ ოქროგუთანაანთ ილოს ამბობ, ქურდობას რო აბრალებდნენ და სოფლიდან რო გაიქცა? ჰკითხა ძაღლის პატრონმა.

— ჰო, სწორედ ის ილო; ეხლა მესტვირეა, დადის თავის გუდა-ნაბდითა, ხან სად უკრავს სტვირს, ხან სადა და ეგრე ცხოვრობს.

ოქროგუთანაანთ ილოს ხსენებაზე ძაღლმა ყურები აცქვიტა, ლაქუცით კუდი გაიქნია და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, აქ ხომ არსადა დგას ილოვო. მაგრამ სინამდვილისაგან დაღონებული, ბოგირის ქვეშ შეძვრა გასაგრილებლად.

პატრონმა შეაბა ურემი და გაუდგა გზას. ძაღლიც გაჰყვა უკან და ილოზე ფიქრი არ ანებებდა თავს. მეტად კარგი იყო ილო, მეტად უყვარდა, მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდა ილოსი: სულ სალამურს, ან სტვირს უკრავდა, რაზედაც ღმუილს მოჰრთავდა ხოლმე. ერთხელ ამისთვის პატრონმა სცემა კიდეც ძაღლს: რა გაღმუვლებს შე ოხერო, რა უბედურებას მოასწავებ მაგითაო...

პატრონიც ილოზე ფიქრობდა; სამი წლის ყავლი ისე გაათავა ილომ მასთან, რომ ბეწვის ოდენაც არა უწყენინებია-რა ილოს მისთვის. მეტად პატიოსანი ჯეილი იყო ილო, ყოველისფრით შემკო-

# შესანიშნავი შენობები



პარიჟის პანთეონი.



ინვალიდების ეკლესია პარიჟში.

ბილი, სიამოვნების კუნწულაც კი დაუძახა ერთხელ პატრონმა ილოს, მხოლოდ ხანდახან ის არ მოსწონდა ხოლმე იმასაც ილოსი, რომ ხშირად სტვირს, ან სალამურს უკრავდა.

ყავლის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა; ილო თავისთვის დაბინავდა თ·ვის მიწურში და სცხოვრობდა წყნარად, უწყინარად. ვიღაცამ იმ სოფელში ერთ კაცს ინდოურები დაჰპარა და ილოზე მიიტანეს ეჭვი. ილო დაიჭირეს, ტყუილ-უბრალოდ დაამწყვდიეს გოშში და ინდოურების ფასიც ერთი-ორად გადაახდევინეს. ა"ის შემდეგ ილოს სოფელში თავი აღარ გამოუყვია. რამდენიმე ხანი რო გავიდა, იმ ვიღაცა კაცს კიდევ მოჰპარეს ინდოურები: ილოს ეგონა ისევ მე დამაბრალებენო და სოფლიდან სხვაგან გაიქცა. მაშინ სულ მთლად დარწმუნდა ინდოურების პატრონი, რომ ილო იყო იმისი ქურდი; ჩაფრებს დააჭერინა იგი და უარესად დასაჯეს, თუ შენ არ იყავ ქურდი, რად გაიქეციო.

გაიარა ხანმა, ილო ისევ გაანთავისუფლეს, მაგრამ ძალიან დალონებული იყო: აღარავის ეჩვენებოდა, აღარავის ეუბნებოდა „გამარჯობა"-ს და აღარც ვინ მას ეუბნებოდა „გაგიმა"ჯოს". არ გაიარა რამდენიმე დღეს, რო ვიღაცა ნაცნობი ბიჭი გაეხუმრა ილოს: „ბიჭო ილო, ამა და ამ კაცს კიდევ მოჰპარეს ინდაურებიო. ამის გაგონებაზე ადგა ილო და სულ მთლად გადაიკარგა იმ სოფლიდან. ამის შემდეგ გარდა ის მესტვირე. ქალაქში წვეულებებზე, სოფლებში დღეობებზე—დადიოდა, უკრავდა სტვირს, ამბობდა ლექსებს, რომლებშიაც ხალხს მოუთხრობდა თავის თავგადასავალს, შეაქებდა მსმენელთ და ასე ირჩენდა თავს..

ძაღლის პატრონი ფიქრებიდან გამოარკვია ქალაქის მიახლოვებამ. ავლაბარში რო შევიდა უკვე დიდ გასაჭირში იყო: ხან ეტლს მოარიდებდა ურემს, ხან ტრამვაის ვაგონს და ხან ჯაგვს. ძაღლიც, რა კი უცხო ქვეყანაში შევიდა და იგრძნო გულცივობა უცხო მხრისა, უფრო მიუახლოვდა თავის პატრონსა და ურემს ერთ ნაბიჯზედაც აღარა ჰშორდებოდა. კარგა მანძილზე შევიდნენ ქალაქში; აქ უფრო მეტი მოძრაობა იყო ხალხისა, ეტლებისა და ვაგონებისა. ძაღლი უფრო მიეკრა პატრონსა და ურმის ბოლოს აღარა ჰშორდებოდა: ურმის ქვეშ მიდიოდა, კუდი და ზურგი-ღა უჩანდა. უცბად ტრამვაის ვაგონი გაჩნდა, პატრონს ურმისთვის უკანიდან უნდა შემოერბინა და მოერიდებინა; ურემს რო შემოურბინა, ძაღლს წააწყდა და წაიქცა. წამოხტა. გაბრაზებულმა რამდენიმე შოლტი ამოუჭირა ძაღლსა. ერთი კარგაც შეუკურთხა და მერე მოარიდა ურემი. ძაღლმა ვიწრო ქუჩაში შეირბინა, მობრუნდა და კუდამოძუებულმა ისევ პატრონისაკენ დაიწყო მზერა. ამდროს თვალი მოჰკრა (იქროგუთანაანთ ილოს, რომელსაც იღლიაში სტვირის გუდა ეჭირა და ეზოში შედიოდა; იცნო და მოულაქუცა, ცოტა გულიც მოეცა. მერე გაიქცა, უნდა იმ ეზოში შესულიყო, სადაც ილო შევიდა, მაგრამ ეზოს კარები გამოიხურა და ვიღაცა დუქნის ბიჭმაც ამდროს გადმოყარა ძვლები ქუჩაში, რომლებსაც კუდამოძუებულმა ძვლებს დაუწყო კნატა-კნუტი; როცა გაათავა ძვლები, ილო აღარსადა სჩანდა, პატრონიც მოჰფარებოდა უზარ-მაზარ სახლებს; საითაც მიიხედა სულ უცხოები იყვნენ; აქეთ ეცა, იქით ეცა; ხან აქ დაჰსუნა, ხან იქ, მაგრამ ვიღარ იპოვნა პატრონის კვალი; გაიქცა ზევით, მერე ქვევით, მერე პირდაპირ, მერე დაკუნტდა, კუდამოძუებულმა რამდენჯერმე შეჰღმუვლა, მერე კიდევ გაიქცა უცნობ ქუჩაზე, ირბინა, ირბინა და ბოლოს დაიკარგა...

*
* *

სირბილით მოღლილმა და მოქანცულმა გადაიწყვიტა პატრონის პოვნის იმედი; მოჰშივდა კიდეც და ამდროს შეამჩნია ყასბის დუქანი, სადაც ბლომად ეკიდა ხორცი; მივიდა ახლოს, რამდენჯერმე კუდი გაიქნია, შემდეგ შეამჩნია ძირს დიდი ძვალი, დასტაცა პირი და გააქცია. არავინ ხმა არ გასცა, რადგანაც ვერავინ ვერ დაინახა. რაკი სთქვა, არავინ გამიჯავრდაო, როცა ის ძვალი გამოხრა, ხელმეორედ მიბრუნდა იმ დუქანში და უფრო თამამად შევიდა შიგა; ერთ დიდ ნაჭერს წაავლო პირი, მაგრამ ყასბის ბიჭმა შეამჩნია და ერთი კარგა მიტყიპა ცოცხის ტარით, ეს იყო მისი პირველი დიდი დანაშაული და სამართლიანი დასჯა მისთვის.

ამ პირველი ავაზაკობის შემდეგ დაეჩვია მოპარვას, მოტაცებას; იფიქრა: ხომ ვერ მომკლეს და ცემას რა უშავს, თუ კი კუჭს გავიძღობ, სიმშილით სიკვდილს ცემა არა სჯობიაო და სულ მოტაცებაზე, მოპარვაზე ეჭირა თვალი... გასალახანავდა, გაწუწკდა და

ყველგანა სცემდნენ ამის შემდეგ: მეწვრილმნის დუქანში შევიდოდა—სცემდნენ, სარდაფში ჩავიდოდა სიცივისაგან შეწუხებული, რო თბილად დაეძინა—სცემდნენ, თითქმის ბულვარზედაც კი სცემდნენ, სადაც მხოლოდ აუარებელი ხალხი დასეირნობდა და მოსატაცებელიც არა იყო-რა. ბოლოს სუმთლად უმთავრეს ქუჩაზე გამოირიყა; სადაც ნაკლებადა სცემდნენ და სადაც მხოლოდ აუარებელი ხალხი დასეირნობდა; იდგა ხოლმე ბულვარზე და ყველას მორჩილების ლაქუცით შეჰყურებდა, თითქო ყველა მისი დიდი ხნის ნაცნობი იყო და ასე ეუბნეოდა: ერთი ლუკმა პურის მეტი თქვენგან არა მინდარაო, ერთი ნამცეცი პური გადმომიგდეთ და მერე რაც გინდათ ის მიყავით მე, თქვენ არაფერს გერჩითო. მაგრამ შეუბრალებელი იყო ხალხი—ყველგანა სცემდნენ, თითქო მხოლოდ იმისთვის იყო გაჩენილი, რო ეცემნათ; ისიც ხმას არ იღებდა, ყველაფერს იტანდა, ყველაფერი კანონი ეგონა...

ამ უამინდო ცხოვრების გამო წელში მოიხარა, დაბერდა სიცივისაგან ქეციც შეეყარა და ადგილიდან ძლივს-ღა იძვროდა; იგრძნო კიდეც სიკვდილის მოახლოვება, რო ამ დროს გამოუჩნდა ვიღაც მდიდარი ვექილი. ეს ყოველ საღამოს პურს უყიდდა ხოლმე იქვე ბულვარზე მეპურის დუქანში და აჭმევდა. ძაღლი ამის გამო თითქო წელში წამოიმართა, თვალები გაუბრწყინდა და ისე გათამამდა, რომ ერთხელ დაიყეფა კიდეც, თუმცა თვითონაც არ იცოდა რისთვის.

ძაღლი იმ დუქანთან დაბინავდა, სადაც ვექილი პურს უყიდდა ხოლმე და ღამეებსაც იქვე ორი ქუჩის კუთხეში გამართულ სარდაფის ჩასავალში ათევდა. საღამო რო მოახლოვდებოდა, მოუთმენლად ელოდა ხოლმე იმ კეთილ კაცს, რომელსაც დიდის სალმითა და ალერსით ეგებებოდა.

* * *

მართალია ჭამის მხრივ უზრუნველყოფილი შეიქმნა ძაღლი, მაგრამ სიცივე მაინც ძაან აწუხებდა ხოლმე ზამთრობით; ყოველდღე ახალ ბინას ეძებდა ცივი ღამეების გასათევად და ისევ კი ორი ქუჩის კუთხეში გამართულ სარდაფის ჩასავალში იძინებდა.

ერთხელ, იანვრის ღამეს, როდესაც რაღაცა მიზეზების გამო ვექილმა პური ვეღარ აჭამა, ძაღლი თავის სარდაფში დაბინავდა, ჩაითბუნა და ჩასთვლიმა. საშინელი სიცივე იყო. ხმაურობა აღარსად ისმოდა და გაყინული სიჩუმე ისეთ შთაბეჭდილებასა სტოვებდა, თითქო ყველგან ეძინათ. ჩვენ ძაღლსაც ჩაეძინა და საკვირველი სიზმარი ნახა: ვითომ თავის პატრონის სახლშია და პური ძაანა ჰშიან. ამდროს ბეღლის კარებთან გამოჩნდა ოქროგუთანაანთ ილო, მან მოულაქუცა და გაიქცა ილოსკენ, ძაღლი დაინახა თუ არა ილომ, შებრუნდა ბეღელში და ძაღლს იმედი მოეცა, ეგონა პურს გამომიტანს და მომიგდებს ჩვეულებისამებრო, მაგრამ ილომ პურის ნაცვლად სტვირი გამოიტანა, დაუკრა და ძაღლმაც მის ხმაზე მორთო ღმუილი. ილო თითქო ჯიბრით უკრავდა, რომ ძაღლი ეღმუვლებინა და მანაც უფრო მოუმატა ღმუილს. ბოლოს ცრემლები მოერია ძაღლსა და კვნესაც ამოაყოლა ღმუილს, ილო კი უფრო ძაან უკრავდა სტვირს, ძაღლმაც უფრო ხმა მაღლა შეჰღმუვლა და თავის ხმაზე გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო. შემდეგ ჩაითბუნა და ისევ ჩაეძინა. კიდევ ესიზმრა: ვითომ ისევ თავის პატრონის სახლშია და ისევ ძალიანა ჰშიან. როცა ყველანი სხვაგან გაიგულა, შეიპარა ბეღელში, ყველა კუთხეები დაათვალიერა, მაგრამ ვერაფერი იპოვნა. ბოლოს მოაგონდა თარო, სადაც მისი პატრონი ძველ ქალამნებს შეაწყობდა ხოლმე, ახოხდა ზედა და ერთი ქალამანი ნახა; ის-ის იყო პირი ჩაავლო, გადმოაცურა კიდეც კოპითა, რო ამ დროს პატრონმა შემოასწრო, ერთი მაგრა დასჭყივლა და ტაბიკიცა სდო ფერდში. ძაღლმა შესწკნავლა და გამოეღვიძა. ვიღაცა კაცი დასდგომოდა თავსა და წიხლით აგდებდა იქიდან; ძაღლი წამოხტა, ამოირბინა სარდაფის კიბე და მაღლიდან დაუწყო სინჯვა იმ ვიღაცა კაცს. ვერასგზით ვერ გამოეცნო, ვინ იყო ის კაცი, მხოლოდ ის დაინახა, რომ იღლიაში სტვირის გუდა ჰქონდა ამოჩრილი და მოაგონებდა ოქროგუთანაანთ ილოს. როცა ის კაცი დაწვა, ძაღლი ჩავიდა მასთან და ისიც დაწოლას აპირებდა, რო იმ კაცმა ისევ წამოიწია, აჰხედ-დაჰხედა ძაღლსა და ისევ დაწვა. რო დაწვა, იმ კაცს, თვითონაც არ იცოდა რათა, მოაგონდა თავისი სოფელი, პატარა ძაღლი ტიბა, რომელიც აღზარდა მოჯამაგირობაში; მოაგონდა კიდევ: ერთხელ გაზაფხულზე, შაბათ საღამოს, როდესაც მინდვრიდანა ბრუნდებოდა და სრული მთვარე დაჰკაშკაშებდა საძილედ მიწყნარებულ სოფელს, რომლის მყუდროებასაც არღვევდა ახლად შეფოთლილ კაკლებიდან ჰოტის ხმა, გზირი გადმოდგა სამების გორაზე და გადმოსძახა სოფელს: „ჰეე, ხალხნო!“ ილო შედგა, რო კარგა მოესმინა, რას დაიძახებდა გზირი, გზირმა განაგრძო: „ექვთიმიანო, თამაზაანო, ოთიაანო, მჭედლიაანოოო... ხვალ სოფლობაა, მამასახლისი გიბარებთ, კომლზე კაცი უნდა გამოვიდეს, ბრძანებაა მოსული...“ ამ დროს გამოცვივდნენ ძაღლები ილოს დანახვაზე და იმათ ღავღავში ვეღარ გაარჩია, თუ ვისგან იყო ბრძანება მოსული. ილომ ძაღლებში იცნო თავის გაზრდილი ტიბა, რომელმაც მოულაქუცა ილოს, ილომაც მოუალერსა ძაღლს: ტიბავ, ტიბავო და მოალერსების შემდეგ ტიბა გაბრუნდა, ჯერ ღობის ძირას დაჰსუნა, მერე მაღლა ჰაერში და მერე კუდის ქნევით შეირბინა ალაყაფის კარებში. სხვა ძაღლებიც დაწყნარდნენ. ილო ცოტა რო გასცდა იმ ადგილს, ისევ დადგა და ლოდინი დაუწყო გზირის მეორედ დაძახებას და თანა სწყინდა, რომ გზირი სულ „ექვთიმიანო“, თამაზაანო“, „ოთიანო“ და „მჭედლიანო“-ს იძახდა და ერთხელაც არ დაეძახნა „ოქროგუთანაანოო“. მაგრამ გზირმა აღარ დაიძახა, მანაც ჩაიქნია ხელი და წავიდა სახლში: სულ ერთია მე არავინ არაფერსა მკითხავს და არც გავალ სოფელში.—ეს ყველაფერი ისე კარგად გაახსენდა ილოსა, რომ თითქმის განიცადა კიდეც მეორედ ეს წუთები. ბოლოს ღრმად ამოიოხრა და ჩაიძინა.

მეორე დღეს ძაღლს რო გამოეღვიძა, ილო იცნო; ილომაც იცნო ეს ძაღლი, მაგრამ ისე კი არა, როგორც თავისი გაზრდილი ტიბა, მხოლოდ გაიფიქრა, თითქო სადღაც მინახავს ეს ძაღლიო და განშორდა.

* * *

გაიარა რამოდენიმე ხანმა. იმ უმთავრეს ქუჩის ბულვარზე, სადაც ჩემი ნაცნობი ძაღლი ვექილს ელოდდა, იქვე სკამზე მჯდომმა ერთმა კაცმა მეორეს წაუკითხა გაზეთში: „დიდი ქარბუქი იყო ლოჭინის მიდამოებში; დაახრჩო ერთი მესტვირე, რომელიც შემდეგ შემთხვევით გამვლელმა მენახშირეებმა ადგილობრივ დამარხეს. მესტვირე სოფელ კაკაბეთის მცხოვრები ილო ოქროგუთანაშვილი აღმოჩნდა“. ილოს ხსენებაზე ძაღლმა ლაქუცით კუდი გაიქნია; მაგრამ უეცრივ წამოხტა და გაიქცა, ვიღაცა კაცი ვექილს მიამგზავსა, მაგრამ მოტყუებული მობრუნდა და ისევ თავის ადგილზე დაწვა. დიდხანს ელოდა ვექილს, მაგრამ აღარ მოვიდა, ეტყობოდა სადღაც შორს წასულიყო და ვეღარ უგდებდა ძაღლს ყურსა; დაღონდა; იგრძნო საშინელი უპატრონობა და ბოლოს იფიქრა, წავალ, სადმე დუქანში მოვიპარავ რასმეო, მაგრამ უკვე შუაღამე წამოსულიყო და დუქნები სულ დაეკეტნათ; ამით უფრო დაღონებულმა ისევ თავის სარდაფს მიაშურა.

* * *

ასე, ამ დღეებში იყო ეს ძაღლი, რომ ერთ თებერვლის დილას, როცა გამოეღვიძა, თვალი მოჰკრა თავის ურემს, სოფლიდან ვიღაცას თივა ჩამოეტანა გასასყიდათა და მოაგონდა თავისი პატრონი, თავისი პატარაობა, კარ-მიდამო, სადაც პირველად აახილა თვალი და მოუნდა დაბრუნება თავის სოფელში, თავის პატრონთან. იქნება გამოიცვალა მისმა პატრონმა ხასიათი? ამდენი ხანია აღარ უნახავს თავისი ძაღლი და ნუ თუ არ გაეხარდება მისი მისვლა? თუ კი მას მიუხარიან პატრონთან?.. და წავიდა...

—

ტრიალ მინდორზე, შარა გზის პირად ერთი საფლავი მოსჩანდა ოდნავ, რომელზედაც ჯვარი ერჭო. იმ ძაღლს რაღაცნაირად ეგონა, რომ ეს საფლავი იმისი სოფლის ბოლოა; მიაღწია იქამდე, მაგრამ იგრძნო საშინელი დაღლილობა, თვალთაც დაუბნელდა და ფეხი ვეღარ გადადგა წინ. საფლავზე მიდო თავი, პირში ბუგი მოუვიდა, მოჰყვა ხრიტინსა და წავიდა ბურანში. ვიღაცა გამვლელებმა რო დაინახეს, მივიდნენ ძაღლთანა, მაგრამ ჯერ ჯვარს მიაქციეს ყურადღება; ერთმა ჯვარზე ხმა-მაღლა წაიკითხა ნახშირით დაწერილი მსხვილი ასოები: „ილო ოქროგუთანაშვილი“. ძაღლმა ეს სიტყვები გაიგო, უნდოდა კუდი გაექნია ლაქუცით, მაგრამ ვეღარ დაძრა კუდი; ამდროს მეორემ წამოიძახა, ვისია ეს ძაღლი, აქ სადა კვდებაო და ფეხი წაჰკრა მომაკვდავს, ხოლო პირველმა სიცილითა სთქვა, კი არა კვდება, მომკვდარა კიდეცაო. ესღა იყო უკანასკნელი სიტყვები, ადამიანთაგან გაგონილი ხილულთა ქვეყანაზე.

ეხლა იმ ტრიალ მინდორზე, შარა გზის პირად, იმ მესტვირის საფლავის გვერდით იმყოფება იმ ძაღლის სამარეც; მის მძვლების თავზე ხან მზე ბრწყინვალებს, ხან მეხი სჭექს, ხან ნისლი სცურავს და ხანაც კიდევ ქვითინებს ქარი, თითქო ითხოვდეს მისთვის შენდობას—განსვენებასა.

ი. მჭედლიშვილი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.